ადამიანის ცოფის შემთხვევა, პირველად კორნელიუს ცელსუსმა ჩვ.წ.აღ. I საუკუნეში აღწერა და მას „ჰიდროფობია“ (წყლის შიში) უწოდა. მისივე განმარტებით, ადამიანს ცოფი ცოფიანი ცხოველების კბენის შედეგად გადაეცემოდა.

1770 წ-ს ვან სტივენმა აღწერა ადამიანის ცოფის პარალიზური ფორმა. ცოფის მეცნიერული შესწავლა ლუი პასტერმა დაიწყო. მან დაადგინა, რომ ცოფის გამომწვევი ლოკალიზდება ც.ნ.ს.-ში. ცხოველებზე მრავალჯერადი ექსპერიმენტით, მან გამოყო ფიქსირებული ვირუსი, რითაც საფუძველი ჩაეყარა ანტირაბიულ იმუნიზაციას. 1885 წელს, პასტერის მიერ დამზადებული ვაქცინით, პირველად აიცრა 9 წლის ბიჭი ჟორჟ მესტერი, რომელიც ცოფიანმა ძაღლმა დაკბინა; ბიჭუნა გადაარჩა. ამ დღიდან ანტირაბიული ვაქცინაცია აქტიურად გამოიყენება მთელს მსოფლიოში.

1887 წელს ბაბემმა და 1903 წელს ნეგრიმ ცოფისგან დახოცილი ცხოველების თავის ტვინის უჯრედების ციტოპლაზმაში აღმოაჩინეს სპეციფიკური ჩანართები, რომელთაც ბაბემ-ნეგრის სხეულაკები ეწოდათ და მათი არსებობა ცოფზე მიუთითებს.

1903 წელს პ. რემლინგმა დაავადების ვირუსული ბუნება დაადგინა. ცოფის გამომწვევი რაბდოვირუსებს მიეკუთვნება და იგი რნმ-შემცველი ნეიროტროპული ვირუსია [1, 5-16, 18].

ცოფით პოტენციურად ინფიცირებულ ცხოველთან კონტაქტის შემდეგ დაზარალებულმა აუცილებლად უნდა მიმართოს შესაბამის დაწესებულებას პოსტექსპოზიციური დახმარების მისაღებად; ჯანმოს რეკომენდაციით ეს ღონისძიებები მოიცავს: ჭრილობის უხვი, გამდინარე წყლის და საპნით გამორეცხვა, ანტირაბიული ვაქცინაციის საპროფილაქტიკო კურსის ჩატარება, ჩვენებების მიხედვით კი – ანტირაბიული იმუნოგლობულინის ან მონოკლონური ანტისხეულების გამოყენება.

ცოფის ეკონომიკური ტვირთი მსოფლიოს მასშტაბით, წელიწადში, 8,6 მილიარდ აშშ დოლარადაა შეფასებული.

ამრიგად, ძუძუმწოვარი ცხოველების, განსაკუთრებით კი ძაღლების ნაკბენებით, მიღებული ჭრილობების ეფექტური მენეჯმენტისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჭრილობების ტიპების, შეხორცების თავისებურებების, მკურნალობის სტრატეგიებისა და გართულებების პრევენციის მეთოდების ცოდნას.

კლინიკური მასალა

მოცემულ სტატიაში განხილულია ძაღლის ნაკბენი ჭრილობების 3 შემთხვევა, რომლებიც შეირჩა ძუძუმწოვარი ცხოველის (ძაღლი, კატა, მღრღნელები) ნაკბენი

1237 შემთხვევიდან. გაანალიზებულია იმ პაციენტების მონაცემები, რომლებმაც 01.2014-07.2023 წლებში პირველად (ძუძუმწოვარი ცხოველის ნაკბენებით) მომართეს შპს „ჯეოჰოსპიტალის“ საგარეჯოს მრავალპროფილურ სამედიცინო ცენტრს, მკურნალობის მიზნით.

პაციენტთა უმრავლესობას აღენიშნებოდა ზედაპირული ნაკაწრი ან ნაკბენი ჭრილობები (ტრავმა შემთხვევით მიაყენა საკუთარმა ცხოველმა). ასეთ დროს ტარდებოდა ჭრილობის დამუშავება/შეხვევა, ანტირაბიული საპროფილაქტიკო კურსი და ანტიტეტანური იმუნიზაცია (0-18 წლამდე ასაკის ბავშვების გარდა). მღრღნელების (მინდვრის თავი, ზაზუნა, კურდღელი) შემთხვევაში, ასევე, უცნობი ცხოველის ან ცხოველის დაკარგვის/სიკვდილის შემთხვევაში ტარდებოდა ვაქცინაციის სრული კურსი. რამდენიმე პაციენტს, დიდი ზომის ჭრილობებით, დაედოთ სიტუაციური ნაკერები.

3 პაციენტს, რომელთა კლინიკური შემთხვევები წარმოდგენილია წინამდებარე ნაშრომში, სერიოზული დაზიანებები მიაყენეს ძაღლებმა. 2 მათგანს სამედიცინო დახმარება გაეწიათ ამბულატორიულად; 1 შემთხვევაში აუცილებელი გახდა ჰოსპიტალიზაცია და გადაუდებელი ოპერაციული ჩარევა.



შემთხვევა 1

პაციენტი, 68 წლის მამაკაცი, კლინიკაში მოიყვანა სსდ ბრიგადამ. გადმოცემით, უკბინა საკუთარმა ძაღლმა. აღენიშნებოდა: შუბლ-თხემ-საფეთქელ-კეფის მიდამოს ნაკბენი სკალპირებული ჭრილობა, ზომით 15.0x5.0სმ. მყესოვანი აბჯრიდან ზომიერი სისხლდენით (სურათი 1); პაციენტი მოთავსდა გადაუდებელი დახმარების განყოფილებაში; ვიტალური ფუნქციების მონიტორინგის ფონზე (T/A-115/75მმ.ვწყ.სვ., P-92', R-18-20, SpO₂-96%) ჩაედგა პ.ვ.კ. დაეწყო კრისტალოიდების ი.ვ. ინფუზია, ჩატარდა ანალგეზია. შესრულდა შუბლ-თხემ-საფეთქელ-კეფის არეში არსებული ნაკბენი სკალპირებული ჭრილობის პირველადი ქირურგიული დამუშავება: განხორციელდა ჰემოსტაზი, ჭრილობის სანაცია დიდი რაოდენობით გამდინარე ფიზიოლოგიური ხსნარით, კანზე სიტუაციური ნაკერები, ჭრილობის ღრუს დრენირება რეზინის საწრეტებით.

ჩატარდა ანტირაბიული ვაქცინაცია (სრული კურსი) +ანტირაბიული იმუნოგლობულინი (92კგ-18.4); ანტიტეტანური იმუნიზაცია.



სურათი 1. კლინიკური შემთხვევა 1. შუბლ-თხემ-კეფის მიდამოს ნაკბენი სკალპირებული ჭრილობა 7 პაციენტი 68 წლის მამაკაცი.



სურათი 2. კლინიკური შემთხვევა 2. მარჯვენა ყურის ნაკბენ-ნაფლეთოვანი ქრილობა, ყურის ნიჟარის ნაწილობრივი ამპუტირებით. პაციენტი 52 წლის მამაკაცი.

კლინიკური დიაგნოზი: შუბლ-თხემ-საფეთქელ-კეფის მიდამოს ძალის ნაკბენი ქრილობა, დიდი ზომის (W54, S01.0); ანტირაბიული იმუნიზაციის აუცილებლობა Z24.2; ანტიტეტანური იმუნიზაციის აუცილებლობა Z23.5;

პაციენტს უტარდებოდა მონიტორინგი და შეხვედები ამბულატორიულად. 72 საათის შემდეგ ქრილობის კიდები იყო სუფთა, საღი გრანულაციით. შესაბამის ვადაში ქრილობა შენორცდა ინფიცირების გარეშე.

შემთხვევა 2

პაციენტი, მამაკაცი 52 წლის მოყვანილი იყო კლინიკაში სსდ-ს ბრიგადის მიერ. გადმოცემით უკბინა უცნობმა ძალმა (ფერმის ტერიტორიაზე). აღენიშნებოდა: მარჯვენა ყურის ნაკბენ-ნაფლეთოვანი ქრილობა ზომით 3.0x2.0სმ. ყურის ნიჟარის ნაწილობრივი ამპუტირებით. (სურათი 2). პაციენტი მოთავსდა გადაუდებელი დახმარების განყოფილებაში; ვიტალური პარამეტრების მონიტორინგის ფონზე (T/A-125/95მმ.ვწყ.სვ., P-102', R-18-20, SpO₂-97%) ჩაეღვა პ.ვ.კ., დაეწყო კრისტალოიდების ი.ვ. ინფუზია, ჩატარდა ანალგეზია. ჩატარდა ქრილობის პირველადი ქირურგიული დამუშავება: განხორციელდა ჰემოსტაზი, ქრილობის სანაცია დიდი რაოდენობით გამდინარე ფიზიოლოგიური ხსნარით, აღდგა ყურის მთლიანობა (სურათი 3).

ჩატარდა ანტირაბიული ვაქცინაცია (სრული კურსი) +ანტირაბიული იმუნოგლობულინი (78კგ-15.6), ანტიტეტანური იმუნიზაცია.

პაციენტი სტაბილურ მდგომარეობაში გაეწერა ამბულატორიულ მკურნალობაზე.


კლინიკური დიაგნოზი: მარჯვენა ყურის მიდამოს ძალის ნაკბენი ქრილობა, დიდი ზომის, W54, S01.3; ანტირაბიული იმუნიზაციის აუცილებლობა Z24.2; ანტიტეტანური იმუნიზაციის აუცილებლობა Z23.5.

პაციენტს რეგულარულად უტარდებოდა მონიტორინგი და შეხვედები ამბულატორიულად. ქრილობა შენორცდა ინფიცირების და ნეკროზის გარეშე.

შემთხვევა 3

პაციენტი, 54 წლის მამაკაცი მოყვანილი იყო კლინიკაში სსდ-ს ბრიგადის მიერ. გადმოცემით უკბინა საკუთარმა ძალმა (ნაგაზმა). ჰოსპიტალიზაციისას პაციენტს სხეულზე აღენიშნებოდა მრავლობითი ნაკბენი ქრილობები.

1. ყელის არეში, მარჯვნივ მკერდ-ლავიწ-დვრილისებრი კუნთის გასწვრივ, დვრილისებრი მორჩიდან 3სმ დისტალურად, ნაკბენი ქრილობა, ზომით 5.0x3.0სმ. დაზიანებული იყო: კანი, კანქვეშა ქსოვილი, მკერდ-ლავიწ-დვრილისებრი კუნთი, საიდანაც აღინიშნებოდა ნაკადულისებრი სისხლდენა;
2. საუღლე ჩანაჭდევის არეში, ნაკბენი ქრილობა, ზომით 5.0x3.0სმ. დაზიანებული იყო: კანი, კანქვეშა ქსოვილი, მკერდ-ლავიწ-დვრილისებრი კუნთის ლატერალური ფენი, საიდანაც, ასევე, აღინიშნებოდა ნაკადულისებრი სისხლდენა;
3. ნიკაპიდან 3სმ დისტალურად, ნაკბენი ქრილობა ზომით 3.0x2.0სმ. დაზიანებული იყო: კანი, კანქვეშა ქსოვილი, კუნთები.
4. ყელის მიდამოს მრავლობითი, სხვადასხვა ზომისა და სიღრმის ნაკბენ-ნაჩხვლეტი ქრილობები, ზომიერი სისხლდენით;
5. შუბლ-თხემ-საფეთქელის არეში ნაკბენი სკალპირებული ქრილობა ზომით 10.0x4.0სმ. ვიზუალიზებოდა ქალას ძვალი, ზომიერი სისხლდენით;
6. სახის მიდამოს მრავლობითი, სხვადასხვა ზომისა და სიღრმის ნაკბენ-ნაჩხვლეტი ქრილობები;
7. მარჯვენა ილიის ფოსოს ნაკბენი ქრილობა ზომით 2.0x0.5სმ, ზომიერად სისხლმდენი;
8. მარჯვენა მხრის მიდამოს მრავლობითი, სხვადასხვა ზომისა და სიღრმის ნაკბენი ქრილობები (სურათი 3). პაციენტი მოთავსდა გადაუდებელი დახმარების განყოფილებაში; ვიტალური პარამეტრების მონიტორინგის ფონზე (T/A-95/55მმ.ვწყ.სვ., P-110', R-18-20, SpO₂-92%) ჩაეღვა პ.ვ.კ., დაეწყო კრისტალოიდების ი.ვ. ინფუზია, ჩატარდა ანალგეზია. ჰემოსტაზის მიზნით განხორციელდა სისხლმდენი ქრილობების ტამპონირება. აღებულ იქნა სისხლი ლაბორატორიული კვლევისთვის. სასიცოცხლო ჩვენებით პაციენტი აყვანილი იქნა საოპერაციო ბლოკში, სადაც ზოგადი ანესთეზიით ჩატარდა ოპერაცია: ა. ყელის მიდამოს ნაკბენი ქრილობების პირველადი ქირურგიული დამუშავება, გარეთა საუღლე ვენის ტოტის ლიგირება, ჰემოსტაზი, ქრილობა გაიკერა სიტუაციურად, ტამპონირება; ბ. სკალპის ნაკბენი ქრილობის პირველადი ქირურგიული დამუშავება, სიტუაციურად გაკერვა-ტამპონირება; გ. სახის მიდამოს მრავლობითი ქრილობების პირველადი ქირურგიული დამუშავება-შეხვევა; დ. მარჯვენა მხრის



სურათი 3. კლინიკური შემთხვევა 3. სხეულის მრავლობითი ნაკბენი ქრილობები. მარჯვნივ, მკერდ-ლავიწ-დვრილისებრი კუნთის და საუღლე ჩანაჭდევის არეში არსებული გამჭოლი ქრილობის არხი, პაციენტი 54 წლის მამაკაცი.

მიდამოს მრავლობითი ნაკბენი ქრილობების პირველადი ქირურგიული დამუშავება, ქრილობების ტამპონირება-შეხვევა.

ინტრაოპერაციული რევიზიით:

- მარჯვნივ, მკერდ-ლავიწ-დვრილისებრი კუნთის და საუღლე ჩანაჭდევის არეში არსებული ტამპონირებული ქრილობების რევიზიისას ინახა, რომ ეს ქრილობები იყო გამჭოლი, იქმნებოდა კანქვეშა გვირაბი სისხლდენის კერის ვიზუალიზაცია გაძნელდა, რის გამოც ქრილობები გაფართოვდა; ინახა – მკერდ-ლავიწ-დვრილისებრი კუნთი ნაწილობრივ ამოგლეჯილი/ „ამოჭმული“, სიღრმიდან აღინიშნებოდა ნაკადულისებრი სისხლდენა, სისხლმდენი სისხლძარღვი აღებულ იქნა მომჭერებზე, დაედო ლიგატურა და ამოიკერა. ქრილობა ამოირეცხა დიდ რაოდენობით ფიზიოლოგიური ხსნარით, რამდენიმეჯერ, აღდგა მკერდ-ლავიწ-დვრილისებრი კუნთის მთლიანობა. ქრილობის არხში გამჭოლად, გატარდა რეზინის საწრეტი და ტამპონი, კანზე სიტუაციური ნაკერები.
- ნიკაპიდან 3სმ-ში დისტალურად არსებული ქრილობის რევიზიით ინახა, რომ ქრილობის არხი მიემართებოდა დისტალურად და ყრუდ ბოლოვდებოდა ტრაქეაზე, ამ უკანასკნელის მთლიანობა დარღვეული არ იყო. ქრილობა ამოირეცხა დიდ რაოდენობით ფიზიოლოგიური ხსნარით, რამდენიმეჯერ, არხში ფაშრად ჩაიდო დოლბანდის ტამპონი და რეზინის საწრეტი.
- შუბლ-თხემ-საფეთქლის არეში არსებული ნაკბენი სკალპირებული ქრილობა დამუშავდა, შესრულდა ჰემოსტაზი, ამოირეცხა დიდ რაოდენობით ფიზიოლოგიური ხსნარით, რამდენიმეჯერ, არხში ფაშრად ჩაიდო დოლბანდის ტამპონი და რეზინის საწრეტი, კანი გაიკერა სიტუაციური ნაკერებით.
- სახის მიდამოს მრავლობითი, სხვადასხვა ზომის და სიღრმის ნაკბენი ქრილობები დამუშავდა, ამოირეცხა დიდ რაოდენობით ფიზიოლოგიური ხსნარით, რამდენიმეჯერ, ასეპტიკური ნახვევი.
- მარჯვენა ილიის ფოსოში არსებული ნაკბენი ქრილობის რევიზიით – არხი მიემართებოდა რბილ ქსოვილებში, ირიბად, სიღრმით 3-4სმ-მდე და ყრუდ ბოლოვდებოდა რბილ ქსოვილებში. ქრილობა ამოირეცხა დიდ რაოდენობით ფიზიოლოგიური ხსნარით, რამდენიმეჯერ, არხში ფაშრად ჩაიდო დოლბანდის ტამპონი და რეზინის საწრეტი.

- მარჯვენა მხრის არეში არსებული სხვადასხვა ზომის და სიღრმის ქრილობები დამუშავდა ანალოგიურად. ყველა ქრილობაზე ასეპტიკური ნახვევი.

პოსტოპერაციულ პერიოდში პაციენტს უტარდებოდა ანალგეზიური, ინფუზიური, ანტიბაქტერიული, ანტიკოაგულაციური და სიმპტომური მკურნალობა.

დაენიშნა ანტირაბიული ვაქცინაციის სრული კურსი (სამი აცრა სტაციონარში, ორი ამბულატორიულად, შესაბამისი გრაფიკით)+ანტირაბიული იმუნოგლობულინი (80კგ -1ბ.0) და ანტიტეტანური იმუნობაცია.

შემოსვლიდან მეორე დღეს გამოიხატა ენცეფალოპათიის მოვლენები და მსუბუქი ნევროლოგიური სიმპტომატკა. ჩატარდა თავის ტვინის CT კვლევა: „მიღებულ ტომოგრამაზე მარჯვნივ, შიგნითა კაფსულის წინა ფენის და მუხლის პროექციაზე, შუბლში, იოლი გავრცელებით ვლინდება მცირე, ლიქვორის სიმკვრივის უბანი, შუამდებარე სტრუქტურების ლატერალური ცდომის გარეშე... ქალას ძვლოვანი სისტემა სარწმუნო პათოლოგიის გარეშე, მარცხნივ თხემ-საფეთქლის არეში კანქვეშა რბილი ქსოვილები შემუშავებული, ამ ფონზე დამატებითი ჰაერის სიმკვრივის უბნებით. მიღებული მონაცემებით ვლინდებოდა დარბილების კერა მარჯვნივ, შიგნითა კაფსულის დონეზე, შუბლში მცირე გავრცელებით, შუბლში ზომიერი კორტიკალური ატროფია“. ჩატარდა ნევროპათოლოგიის კონსულტაცია და მიეცა შესაბამისი რეკომენდაცია.

ჩატარებული მკურნალობის ფონზე ზოგადი მდგომარეობა გაუმჯობესდა და პაციენტი გაეწერა ბინაზე შესაბამისი რეკომენდაციებით.

კლინიკური დიაგნოზი: სხეულის რამდენიმე მოდამოს ძალის ნაკბენი ქრილობები W54; ყელის მიდამოს მრავლობითი მიდამოს ქრილობები მკერდ-ლავიწ-დვრილისებრი კუნთის ნაწილობრივი და გარეთა საუღლე ვენის ტოტის დაზიანებით S11.7, S16, S15.2; ყელის მიდამოს ტრაქეასთან შემხები ნაკბენი ქრილობა S11.0; შუბლ-თხემ-საფეთქლის მიდამოს დიდი ზომის ნაკბენი ქრილობა S01.0; სახის მიდამოს მრავლობითი ნაკბენი ქრილობები S01.7; მარჯვენა ილიის ფოსოს ნაკბენი ქრილობა S41.8; მარჯვენა მხრის მიდამოს მრავლობითი ნაკბენი ქრილობები S41.7; ანტირაბიული იმუნობაციის აუცილებლობა Z24.2; ანტიტეტანური იმუნობაციის აუცილებლობა Z23.5.

დასკვნა

განხილული შემთხვევებიდან გამომდინარე, ძალის დაკბენილების (დიდი ზომის ძრილობების შემთხვევაში) მკურნალობის პრიორიტეტებია: პაციენტის ტრიაჟი, დეტალური ანამნეზის შეკრება, ძრილობის დამუშავება (ადგილობრივი/ზოგადი ანესთეზიით), ჰემოსტაზი, ძრილობის ტულაგეტი, უცხო სხეულების ამოღება, დაზიანებული ქსოვილების შენარჩუნების მცდელობა, დიდი ზომის დეფექტისას აღდგენა სიტუაციურად. შესაძლებლობის ფარგლებში კოსმეტიკური დეტალების გათვალისწინებაც, განსაკუთრებით, სახის ძრილობებისას.

ნაკბენი ძრილობების მენეჯმენტში ყურადღება ექცევა ნაკბენის ლოკალიზაციას, სიღრმეს, ქსოვილების და სისხლძარღვების დაზიანებას, შესაძლო უცხო სხეულის არსებობას ძრილობაში. რეკომენდებულია ანტირაბიული ვაქცინაციის სრული კურსი: 0, 3, 7, 14 და 28 დღე+ანტირაბიული იმუნოგლობულინი შესაბამისი სქემით (პაციენტის წონა×40/200), ანტიტეტანური იმუნოზაცია, ანტიბიოტიკოთერაპია. ძრილობის რეგულარული მონიტორინგი და შეხვევები.

ლიტერატურა:

References:

1. Garth A.P., *Animal Bites in Emergency Medicine*. emedicine.medscape.com. Oct 07, 2021.
2. American Veterinary Medical Association. Dog Bite Prevention. Available at <https://www.avma.org/public/Pages/Dog-Bite-Prevention.aspx>. 2018; Accessed: September 18, 2018.
3. Holmquist L, MA Elixhauser A. Emergency Department Visits and Inpatient Stays Involving Dog Bites. *Healthcare Cost and Utilization Project Statistical Briefs*. Nov 2010. 101:[Full Text].
4. Aziz H, Rhee P, Pandit V, et al. The current concepts in management of animal (dog, cat, snake, scorpion) and human bite wounds. *J Trauma Acute Care Surg*. 2015;78(3):641-648.
5. Griego R, Rosen T, Orengo I, Wolf J. Dog, cat, and human bites: a review. *J Am Acad Dermatol*. 1995;33(6):1019-1029.
6. Human rabies prevention—United States, 1999. Recommendations of the Advisory Committee on Immunization Practices (ACIP). *MMWR Recomm Rep*. 1999;48:1.
7. Knobel D, Cleaveland S, Coleman P, et al. Re-evaluating the burden of rabies in Africa and Asia. *Bull World Health Organ*. 2005;83:360-380.
8. Murphy T, Slade B, Broder K, et al. Prevention of pertussis, tetanus, and diphtheria among pregnant and postpartum women and their infants: recommendations of the Advisory Committee on Immunization Practices (ACIP). *MMWR Recomm Rep*. 2008;57:1-51.
9. Blanton J, Hanlon C, Rupprecht C. Rabies surveillance in the United States during 2006. *J Am Vet Med Assoc*. 2007;231:540-556.
10. Feder H, Petersen B, Robertson K, Rupprecht C. Emerging epidemiology of bat-associated cryptic cases of rabies in humans in the United States. *Clin Infect Dis*. 2002;35:738-747.
11. Noah D, Drenzek C, Smith J, et al. Epidemiology of rabies in the United States, 1980-1996. *Ann Intern Med*. 1998;128:922-930.
12. Krebs J, Noll H, Rupprecht C, Childs J. Rabies surveillance in the United States during 2001. *J Am Vet Med Assoc*. 2002;221:1690-1701.
13. Krebs J, Mandel E, Swerdlow D, Rupprecht C. Rabies surveillance in the United States during 2004. *J Am Vet Med Assoc*. 2005;227: 1912-1925.
14. Feliciano David V, Mattox Kenneth L, Moore Ernest e. *TRAUMA-ninth edition* 2020. pg. 1019-1048.
15. Fishbein D, Robinson L. Rabies. *N Engl J Med*. 1993;329:1632-1638.
16. Bleck T, Rupprecht C. Rhabdoviruses. In: *Principles and Practice of Infectious Diseases*. 6th ed. Philadelphia, PA: Elsevier; 2005:2047.
17. Jackson A. Current and future approaches to the therapy of human rabies. *Antivir Res*. 2013;99(1):61-67.
18. Howdieshell T, Heffernan D, Dipiro J, et al. Surgical Infection Society guidelines for vaccination after traumatic injury. *Surg Infect*. 2006;7(3):275-303.
19. Morgan Marina-Dog bites-BMJ. 2007-Feb 24; 334(7590): 413-417-doi: 10.1136/bmj.39105.659919.BE
20. Philipsen, T, Molderez C, Gys T. Cat and dog bites: what to do? Guide-lines for the treatment of cat and dog bites in humans. *Acta Chir Belg*. 2006;106(6):692-695.
21. Rothe Karin, Tsokos Michael, Handrik Warner- Animal and Human Bite Wounds- PMID: 26179017-PMCID: PMC4558873-DOI: 10.3238/arztebl.2015.0433.
22. Zulema María Cantú-Cantú, Lyra-González Iván, Armendáriz-Borunda Juan- Coadjuvant treatment with surgery and pirfenidone in severe facial trauma due to dog bit- PMID: 23524776-DOI: 10.1097/SCS.0b013e31828609cb
23. Zanini Fabián, Padinger Patricia, María C Elisondo, Pérez Héctor-Epidemiology of dog bite lesions in Tierra del Fuego, Argentina- PMID: 18416313.

DOG BITES - LARGE-SIZED BLISTERS AND "SWOLLEN" WOUNDS - REVIEW OF CLINICAL CASES, TREATMENT IN THE CONDITIONS OF A DISTRICT HOSPITAL

David Butkhuzi, David Jikia, Giorgi Ugulava

"GeoHospitals" Sagarejo Multiprofile Medical Centre (Georgia)

Contact person: David Butkhuzi, butxuzi@yahoo.com

DOI: <https://doi.org/10.48412/GTBGS.2024.12.45-50>

Resume

This article discusses 3 cases of dog bite wounds, which were selected from 1237 cases of bites by mammals (dogs, cats, rodents). The data of the patients who, between 01.2014 and 07.2023, for the first time (with mammal bites) applied to Sagarejo multi-disciplinary medical center of "GeoHospitals" LLC for treatment.

The 3 isolated cases were interesting because the patients had life-threatening injuries caused by dogs (bites). Two of them received medical care on an outpatient basis, and one patient required hospitalization, emergency surgery - with vital evidence. The medical history of the latter, an inpatient, is presented in relative detail. The patient had multiple blister-bite, "stretched" wounds in the head-neck region, and significant disturbances of vital functions were expressed.

Keywords: dog bite wound, rabies, tetanus, anti-rabies vaccination

აუდიოვიზუალური ტექნოლოგიის ინტეგრაციის ტრანსფორმაციული გავლენა ჯანდაცვაზე

თეა ჭანტურია

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

პასუხისმგებელი პირი: თეა ჭანტურია, teako.chanturia@gmail.com

DOI: <https://doi.org/10.48412/GTBGS.2024.12.51-57>

რეზიუმე | ნაშრომი იკვლევს აუდიოვიზუალური ტექნოლოგიების ჯანდაცვაში ინტეგრირების ტრანსფორმაციულ გავლენას. იგი განიხილავს, თუ როგორ ცვლის ეს ინტეგრაცია პაციენტზე ზრუნვას და ახდენს რევოლუციას სამედიცინო პრაქტიკაში. აუდიოვიზუალური ტექნოლოგიების კონვერგენცია ამდრეებს სამედიცინო დიაგნოზს, მკურნალობის მეთოდებს, პაციენტების ჩართულობას, განათლებას და საერთო კეთილდღეობას. ვიზუალური და სმენითი ელემენტების ინტეგრაცია ხელს უწყობს ჯანდაცვის სერვისების ხარისხის, ხელმისაწვდომობის და ეფექტურობის გაუმჯობესებას. სტატიის მიზანია აუდიოვიზუალური ინოვაციების გადამწყვეტი როლის ხაზგასმა ჯანდაცვის მიწოდების უფრო ინტეგრირებული, პაციენტზე ორიენტირებული პარადიგმის განვითარებაში. გარდა ამისა, იგი განიხილავს ჯანდაცვის რენესანსის კონცეფციას, რომელიც ასახავს ტრანსფორმაციულ ცვლილებას ჯანდაცვის ინდუსტრიაში ინოვაციების და რეგენერაციის მიმართულებით. წარმოაჩენს ვირტუალური რეალობის პოტენციალს, როგორც კარიბჭეს ჯანდაცვის მომავლისკენ. ნაშრომი ხაზს უსვამს ინოვაციურ VR და AR ტექნოლოგიებს და მათ მნიშვნელოვან პერსპექტივებს ქირურგიული სიზუსტის გაძლიერებაში, პაციენტის შედეგების და ჯანდაცვის მეთოდოლოგიების გაუმჯობესებაში. საბოლოო ჯამში, სტატია აღწერს ჯანდაცვის ლანდშაფტს, სადაც ვირტუალური და გაძლიერებული რეალობა ხელს უწყობს პაციენტზე ზრუნვის ჰოლისტიკურ გაუმჯობესებას.

საკვანძო სიტყვები: აუდიოვიზუალური ტექნოლოგია, ქირურგიული ნავიგაცია, ვირტუალური რეალობა, პარადიგმა

თანამედროვე ჯანდაცვის დინამიკურ ლანდშაფტზე, სადაც ტექნოლოგია ექსპონენციალური ტემპით ვითარდება, უახლესი ტექნოლოგიების ინტეგრაცია გადამწყვეტი გახდა პაციენტის ინფორმირებულობის გაზრდასა და სამედიცინო პრაქტიკის რევოლუციურ ცვლილებაში. ამ ინოვაციებს შორის, აუდიოვიზუალური ტექნოლოგიების გამოყენება იქცა ტრანსფორმაციულ ძალად, რომელიც ჯანდაცვის მიწოდების ახალ ეპოქას იწყებს.

ამ კონვერგენციამ არა მხოლოდ გაამდიდრა სამედიცინო სადიაგნოსტიკო და სამკურნალო მეთოდები, არამედ გამოიწვია პარადიგმის ცვლილება პაციენტების ჩართულობის, განათლების და საერთო კეთილდღეობის კუთხით. ხმოვან-ხედვითი ტექნოლოგიების ჯანდაცვაში ინტეგრაცია დიდ გავლენას ახდენს ამ უკანასკნელზე, ავლენს უამრავ გზას, სადაც გამოსახულების და ბგერის კომბინაცია მიმართულია სერვისების ხარისხის, ხელმისაწვდომობის და ეფექტურობის გაუმჯობესებისკენ, არა მარტო გამოსახულებითი კვლევების, არამედ პაციენტის იმერსიული განათლების თვალსაზრისითაც.

მიზანი

ნაშრომის მიზანია, შეისწავლოს აუდიოვიზუალური ტექნოლოგიების და ჯანდაცვის კვება. აჩვენოს, როგორ ცვლის ინოვაციური მიღწევები სამედიცინო პრაქტიკის და პაციენტის ინფორმირების ლანდშაფტს. ამ ტექნოლოგიების ტრანსფორმაციული პოტენციალის შესწავლით, მიზნად ვისახავთ, გამოვყოთ მათი როლი ჯანდაცვის მიწოდების უფრო ინტეგრირებული, პაციენტზე ორიენტირებული პარადიგმის განვითარებაში. ასევე, გვსურს, გავაჩინოთ დიალოგი და რეფლექსია აუდიოვი-

ზუალური ინოვაციების ღრმა გავლენის შესახებ მედიცინის და ჯანმრთელობის მომავალზე.

ჯანდაცვის რენესანსი

ჯანდაცვის ინდუსტრიაში, ტერმინი „ჯანდაცვის რენესანსი“ ნიშნავს ტრანსფორმაციულ ცვლილებებს, ტრადიციული ნორმებიდან გადასვლას, ინოვაციების გზით და რეგენერაციით, მომავლისკენ. ეს კონცეფცია განასახიერებს პროგრესის არსს, სადაც ტრადიციული პრაქტიკა ჩანაცვლებულია წინდახედული მიდგომებით, რომლებიც პრიორიტეტს ანიჭებენ ტექნოლოგიურ წინსვლას, პაციენტზე ორიენტირებული ზრუნვის პარადიგმას და ერთობლივ ძალისხმევას სხვადასხვა მიმართულებით.

ჩვენს რეალობაში, ტექნოლოგიური მიღწევების შედეგად, ჯანდაცვის ინდუსტრიამ განიცადა ფუნდამენტური მეტამორფოზა. ეს არის ახალი ეპოქის გარიჟრაჟის მაცნე, სადაც პროგრესის ტემპი შეუფერხებლად ჰარმონიზდება კაცობრიობის გულისცემასთან.

ჯანდაცვის სფეროში ციფრული რევოლუცია, მართლაც, სწრაფად განვითარებადი და გარდამტეხი აღმოჩნდა. ვიხილეთ ჯანდაცვის ციფრული ტრანსფორმაციის უპრეცედენტო მაგალითები. დიჯიტალური ტექნოლოგიების ევოლუციით ინიცირებული აუდიოვიზუალური კულტურის ახალი მოდელები, რომელთა ფორმირება აჩქარდა პანდემიის ზეგავლენით, სულ უფრო მეტად ინტეგრირდება ჯანდაცვის ეკოსისტემაში.

აუდიოვიზუალურ კულტურასა და მედიცინას შორის კოლაბორაცია არის დამაინტრიგებელ კვება, სადაც ვიზუალური და სმენითი ელემენტები ხელს უწყობს სამედიცინო პრაქტიკის საზღვრების გაფართოებას,

კომუნიკაციის ზრდას და წინსვლას. ამ პარტნიორობას აქვს სამედიცინო განათლების, პაციენტების ჩართულობის და ჯანდაცვის სფეროს კრიტიკული ინფორმაციის გავრცელების პოტენციალი. მულტიმედიური პრეზენტაციების, ვირტუალური რეალობის აპლიკაციების ან სხვა ინოვაციური საშუალებების გამოყენებით, აუდიოვიზუალური კულტურის და მედიცინის სინერგია წარმოაჩენს ჯანდაცვის სფეროს ეფექტური კომუნიკაციის, განათლების და კვლევის ახალ მიმართულებებს.

ჩვენი ეპოქა ხასიათდება აუდიოვიზუალური ტექნოლოგიების ფართო გამოყენებით ყოველდღიური ცხოვრების სხვადასხვა ასპექტში. შესაბამისად, მათი ინტეგრირება სამედიცინო დაწესებულებებში არა მხოლოდ სასურველი, არამედ აუცილებელიც კი გახდა. ხმოვან-ხედვითი ტექნოლოგია აღარ შემოიფარგლება გართობის სფეროებით, მან დაიკავა ცენტრალური პოზიცია ჯანდაცვის სექტორში და გვთავაზობს უახლეს გადაწყვეტილებებს, აძლიერებს სამედიცინო პრაქტიკას და ზრდის პაციენტის ინფორმირებულობას. ჯანდაცვის სფეროში აუდიოვიზუალური ტექნოლოგიების სინერგიული პოტენციალის შეცნობით და ათვისებით, შესაძლებელია ჯანდაცვის მიწოდების და პაციენტზე ზრუნვის შედეგების გაუმჯობესება.

რა არის აუდიოვიზუალური ინტეგრაცია?

„აუდიოვიზუალური ინტეგრაცია ხდება მაშინ, როდესაც აუდიოვიზუალური ტექნოლოგიების ექსპერტები აერთიანებენ მხედველობასა და სმენასთან დაკავშირებულ ტექნოლოგიებს, მომხმარებლებისთვის ერთიანი, უწყვეტი გამოცდილების შესაქმნელად“ [1].

ჯანდაცვის კონტექსტში აუდიოვიზუალური ინტეგრაცია შეიძლება გამოყენებული იყოს სხვადასხვა გზით. მაგალითად, მულტიმედიური ელემენტების ინტეგრაცია პაციენტის საგანმანათლებლო მასალებში, ტელემედიცინის პლატფორმები, რომლებიც მოიცავენ ვიდეოს და აუდიოს დისტანციური კონსულტაციებისთვის, ან მოწინავე სადიაგნოსტიკო ხელსაწყოების დანერგვა, რომლებიც უზრუნველყოფენ ჯანდაცვის წარმომადგენლების ვიზუალურ და აუდიტორულ უკუკავშირს.

რა თქმა უნდა, არეალი არ შემოიფარგლება მხოლოდ ჯანდაცვით; ის ვრცელდება სხვადასხვა ინდუსტრიებში, სადაც ეფექტური კომუნიკაციის და ჩართულობისთვის აუცილებელია, ვიზუალური და სმენითი ელემენტების კომბინაციით, „მჭიდრო“ და „ჩაძირული“ გამოცდილების შექმნა.

ვიზუალური და აუდიო კომპონენტების ინტეგრაციის სამედიცინო პრაქტიკასა და პაციენტზე ზრუნვის პროცესებზე დადებითი გავლენის შესწავლა, არის ფართო და მრავალმხრივი თემა. შესაბამისად, შეუძლებელია ერთ ნაშრომში წარმოვადგინოთ ყველა ასპექტი. ჩვენ წარმოგიდგენთ რამდენიმე ძირითად პუნქტს, რომლებიც საყურადღებოა თემის ფარგლებში:

ტელემედიცინა და ვირტუალური კონსულტაციები – ვიზუალური და აუდიო კომპონენტების ინტეგრაციამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ტელემედიცინის განვითარებაში. ვირტუალური კონსულტაციები, რომლებიც ჩართულია ვიდეო და აუდიო კომუნიკაციით, უზრუნველყოფენ პაციენტებს დისტანციური წვდომით ჯანდაც-

ვის წარმომადგენლებთან, აუმჯობესებენ კომფორტს და ხელმისაწვდომობას.

პაციენტის განათლება და ჩართულობა – ვიზუალური და აუდიო დამხმარე საშუალებები მძლავრი იარაღებია პაციენტის განათლებისთვის. ინტერაქტიულმა მულტიმედიურმა პრეზენტაციებმა, საგანმანათლებლო ვიდეოებმა და აუდიო მასალებმა შეიძლება გააუმჯობესონ პაციენტის სამედიცინო მდგომარეობის, მკურნალობის ვარიანტების და პრევენციული ზომების გაგება.

სადიაგნოსტიკო გამოსახულება და ვიზუალიზაცია – ვიზუალიზაციის მოწინავე ტექნოლოგიები დიდწილად ეყრდნობა ვიზუალურ კომპონენტებს. აუდიო ელემენტების ინტეგრაციამ, როგორებიცაა ხმოვანი ანოტაციები ან აღწერილობითი აუდიო, შეიძლება გააუმჯობესოს კვლევით მიღებული ინფორმაციის ინტერპრეტაცია.

ქირურგიული პროცედურები და ტრენინგი – ხმოვან-ხედვითი ელემენტების ინტეგრაცია გადამწყვეტია მინიმალური ინვაზიური ოპერაციებისას. აუდიოვიზუალური ტექნოლოგიები, ასევე გამოიყენება ჯანდაცვის წარმომადგენლების მომზადებისთვის, რაც მათ საშუალებას აძლევს შეისწავლონ და გამოიყენონ ქირურგიული ტექნიკები სიმულაციურ გარემოში.

თერაპიული აპლიკაციები – ვიზუალური და აუდიო კომპონენტები, როგორებიცაა მუსიკა და არტთერაპია, გამოიყენება თერაპიული ინტერვენციებისას. ეს „მოდალები“ ხელს უწყობს პაციენტის კეთილდღეობას, ტრადიციული სამედიცინო მკურნალობის გარდა, სთავაზობს ემოციურ და ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას.

დისტანციური მონიტორინგი და ტარებადი ტექნოლოგიები – ვიზუალური და აუდიო უკუკავშირი, ტარებადი მოწყობილობებით და დისტანციური მონიტორინგის სისტემებით, ხელს უწყობს პრევენციულ ჯანმრთელობას. ეს ტექნოლოგიები იძლევა სასიცოცხლო პარამეტრების მუდმივ მონიტორინგის საშუალებას, რაც ხელს უწყობს პოტენციური პრობლემების ადრეულ გამოვლენას.

პაციენტზე ორიენტირებული დიზაინი ჯანდაცვის სივრცეებში – აუდიოვიზუალური ელემენტები ინტეგრირებულია ჯანდაცვის დაწესებულებების დიზაინში, უფრო მოსახერხებელი სივრცეების შესაქმნელად. მოიცავს გარემო მუსიკას, დამამშვიდებელ ვიზუალს და ინტერაქტიულ დისპლეებს, რომლებიც ხელს უწყობენ პაციენტის პოზიტიური გამოცდილების ჩამოყალიბებას.

ხელმისაწვდომობა და ინკლუზიურობა – ვიზუალური და აუდიო კომპონენტების ინტეგრაცია გადამწყვეტია იმის უზრუნველსაყოფად, რომ ჯანდაცვის ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყოს სხვადასხვა სენსორული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის. ასევე, ეს ხელს უწყობს ინკლუზიურობას და ჯანდაცვის რესურსებზე თანაბარ ხელმისაწვდომობას.

მნიშვნელოვანია აღვნიშოთ, რომ დღეს ჯანდაცვის ინდუსტრიაში, ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მიღწევად, ხმოვან-ხედვითი ტექნოლოგიების გამოყენება ითვლება. ტექნოლოგიურმა რევოლუციამ აღმოფხვრა უამრავი პრობლემა, მათ შორის გეოგრაფიული შეზღუდვები, რომლებიც ადრე, აფერხებდნენ მაღალი ხარისხის ჯანდაცვის სერვისზე პაციენტების ხელმისაწვდომობას. ტელემედიცინამ ხელი შეუწყო მყისიერ კომუნიკაციას



სურათი 1. ვირტუალური რეალობა ჯანდაცვაში

ჯანდაცვის პროვადერებსა და პაციენტებს შორის. შესაბამისად აუდიოვიზუალური ტექნოლოგიების ეფექტურობა და ოპერატიულობა ხელს უწყობს პაციენტის უფრო სწრაფ დიაგნოსტიკას და მასზე ზრუნვის გაუმჯობესებას, რაც საბოლოოდ იწვევს ყველაზე მნიშვნელოვან შედეგს – სიცოცხლის გადარჩენას.

ვირტუალური რეალობა – კარიბჭე მომავლის ჯანდაცვაში

ჯანდაცვის მუდმივად განვითარებად ინდუსტრიაში, მოწინავე ტექნოლოგიების და სამედიცინო ინოვაციების დაახლოება გზა გაუხსნა ტრანსფორმაციულ მოგზაურობას. ამ რევოლუციის სათავეში დგას ვირტუალური რეალობა, მძლავრი ინსტრუმენტი, რომელიც ფლობს ჯანდაცვის მომავლის ხელახლა განსაზღვრის პოტენციალს.

რაც მეტად ვულრმავედებით ვირტუალური რეალობის პოტენციალს და მისი გამოყენების პერსპექტივებს სამედიცინო სფეროში, მით უფრო ცხადი ხდება, რომ იმერსიული ტექნოლოგია უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ გარდამავალი გატაცება; რაც არ გამორიცხავს, რომ სწორედ ეს შეიძლება იყოს ჯანდაცვის ახალი ეპოქის დასაწყისი. აქედან გამომდინარე, ამ მიმოხილვაში შემოგთავაზებთ, თუ როგორ გვესახება ვირტუალური რეალობა, როგორც კარიბჭე მომავლის ჯანდაცვისაკენ, სადაც ინოვაცია და პაციენტზე ორიენტირებული ზრუნვა უპრეცედენტო გზებით იყრის თავს. თუმცა სანამ დეტალურად განვიხილავთ ამ საინტერესო სიმბიოზს, თავდაპირველად განვიხილოთ, თუ რას წარმოადგენს რეალობაში – ვირტუალური რეალობა (VR)?

ვირტუალური რეალობის ცნება ნიშნავს განსაკუთრებულ რეალობას, რომელიც შეიძლება არსებობდეს როგორც შესაძლო, ასევე მოქმედ მდგომარეობაში.

თანამედროვე გარემოში, ეკრანის კულტურა გახდა ისეთი კონსტრუქციის ფენომენი, როგორცაა „ვირტუალური რეალობა“. მიუხედავად იმისა, რომ VR მეცნიერებაში ახალი არ არის, დღეს ის სრულიად ახლებურად არის წამოჭრილი და განხილული. ამის ერთ-ერთი მიზეზი, კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარებაა, რამაც ვირტუალური რეალობის იდეა რადიკალურად შეცვალა.

„ვირტუალური რეალობის კონცეფცია – გვთავაზობს აზროვნების ახალ პარადიგმას, რომელიც საშუალებას იძლევა ერთ სიბრტყეში გავანალიზოთ რეალობები, რომლებიც დაკავშირებულია სხვადასხვა სახის ცოდნასთან: საბუნებისმეტყველო, ჰუმანიტარული, ტექნიკური და ფილოსოფიური“ [2]. ის როგორც ფენომენი, არის რთული თვითორგანიზებული სისტემა, ერთგვარად სპეციფიკური, სენსუალურად (ვიზუალურ-აუდიო-ჰაპტიკურად) აღქმული გარემოთი, რომელიც შექმნილია ელექტრონული კომპიუტერული ტექნოლოგიების საშუალებით, რეალიზებულია და აქტიურია აღქმის ფსიქოლოგიაში.

სამედიცინო ვირტუალური რეალობა გახდა მიმზიდველი შესაძლებლობების სფერო. მან ალაფრთოვანა არა მარტო სამეცნიერო ფანტასტიკის ენთუზიასტები, არამედ მოიპოვა დიდი ინტერესი კლინიკური მკვლევარების და პრაქტიკოსების მხრიდან. მიუხედავად იმისა, რომ VR არ არის პანაცეა, ის არის ჯანდაცვაში გარკვეული სასწავლო მიზნების მიღწევის ძლიერი საგანმანათლებლო ინსტრუმენტი, რომელიც იმკვიდრებს ადგილს მსოფლიოს წამყვან სასწავლო ცენტრებში.

ციფრული მოწინავე სანავიგაციო ტექნოლოგიები მეტაფორულად შეიძლება შეგადართოთ: „ცერებრალური სფეროს პორტალს“, „კარიბჭეს ცირკულაციური კოსმოსისკენ“, „კარს ვისცერული ლანდშაფტისკენ“ და ა.შ. თანამედროვე ტექნოლოგიები, სწორედ, მეტაფორულად ასახა მედიცინის დოქტორმა, ნეიროქირურგიის პროფესორმა და სტენფორდის ნეიროქირურგიული სიმულაციის ლაბორატორიის ხელმძღვანელმა ანანდ ვერავაგუმ – „ეს არის ფანჯარა თავის ტვინში და ფანჯარა იმ კონკრეტული პაციენტის ტვინში, რომელს ოპერაციას ჩვენ ვაპირებთ“. ეს მოსაზრება ხაზს უსვამს მოწინავე ქირურგიული ნავიგაციის ტექნოლოგიების ტრანსფორმაციულ ბუნებას და პოზიციონირებს მათ, როგორც ფასდაუდებელ ინსტრუმენტებს [10].

ცხრილში 1 დეტალურადაა წარმოდგენილი VR-ის მნიშვნელობა ჯანდაცვის ტრანსფორმაციაში და მიმართულებები, რომელსაც იგი მოიცავს.

როგორც ცხრილიდან ჩანს, ვირტუალური რეალობის გავლენა ჯანდაცვაზე უსაზღვროა. მიუხედავად იმისა, რომ ჯანდაცვის სხვადასხვა სფეროს ყოველისმომცველი

ცხრილი 1. პირტუალური რეალობის გამოყენების ძირითადი მიმართულებები ჯანდაცვის ექსპერტთაგანში

მიმართულებები	
ვირტუალური რეალობის გამოყენება სამედიცინო ტრენინგისთვის	
	ქირურგიული სიმულაციები და მოდელირება;
	პაციენტთან ურთიერთქმედება/თანაგრძნობის ტრენინგი
	განათლება ანატომია-ფიზიოლოგიის მიმართულებით
	VR თერაპიულ ინტერვენციებში
	ტკივილის მართვა VR-ის საშუალებით;
	სარეაბილიტაციო ვარჯიშები ვირტუალურ გარემოში;
	ფსიქიკური ჯანმრთელობა და VR
	პაციენტის ჩართულობის გაძლიერება VR-ით.
ვირტუალური რეალობა ფიზიკური რეაბილიტაციისთვის და მოტორული უნარების გასაუმჯობესებლად	
	ვირტუალური ჯანმრთელობის კონსულტაციები
	პაციენტების განათლებისა და თვითმართვის პროგრამები
	გრძელვადიან დაავადებებთან გამკლავება VR მხარდაჭერით
	VR ფიზიკური რეაბილიტაციის და მოტორული უნარების გასაუმჯობესებლად
	ორგანული სარეაბილიტაციო პროგრამები ვირტუალურ გარემოში
	საავტომობილო უნარების ტრენინგი ნევროლოგიური დარღვევებისთვის
	VR აპლიკაციების მეშვეობით პროგრესის მონიტორინგი და თვალყურის დევნება
ტელემედიცინისა და ვირტუალური რეალობის კოლაბორაცია	
	ვირტუალური კლინიკები და ტელეჯანმრთელობის პლატფორმები
	პაციენტის დისტანციური მონიტორინგი VR-ის საშუალებით
	ჯანდაცვის სერვისებზე წვდომის გაუმჯობესება VR-ით
გამოწვევები და ეთიკური მოსაზრებები VR ჯანდაცვის სფეროში	
	მონაცემთა კონფიდენციალურობა და უსაფრთხოების საკითხები
	ვირტუალური მკურნალობის ეთიკური შედეგები
	VR ჯანდაცვაში ინკლუზიურობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა
მომავალი ტენდენციები და ინოვაციები VR ჯანდაცვის სფეროში	
	ახალი ტექნოლოგიები VR-ში ჯანდაცვისთვის
	დარგში მიმდინარე კვლევები და განვითარება
	მოსალოდნელი მიღწევები
შემთხვევის შესწავლა: VR-ის წარმატებული დანერგვა ჯანდაცვის სფეროში	
	ჯანდაცვაში VR აპლიკაციების რეალური მაგალითები
	დადებითი შედეგები და გავლენა პაციენტის მოვლაზე
თანამშრომლობა და პარტნიორობა VR ჯანდაცვაში	
	თანამშრომლობა ტექნიკურ კომპანიებსა და ჯანდაცვის პროვაიდერებს შორის
	ჯანდაცვის სფეროში VR ინტეგრაციის მხარდაჭერი მთავრობის ინიციატივები
	პარტნიორობა, რომელიც ხელს უწყობს ინოვაციას სფეროში

შესწავლა VR-ის მიმართულებით, საინტერესო და დამაინტრიგებელია, ამ დისკუსიისას, ჟურნალის თემატური მიმართულებიდან გამომდინარე ქირურგიით შემოვიფარგლებით. შესაბამისად, მომდევნო დისკუსიით შევეცდებით, გამოვკვეთოთ ვირტუალურ რეალობასთან დაკავშირებული ნიუანსური და ინოვაციური მიღწევები თანამედროვე ქირურგიულ პრაქტიკაში.

VR და ქირურგია

არც თუ ისე შორეულ წარსულში, დამწყები ქირურგები სწავლების ერთი არჩევანის წინაშე იდგნენ: დაეწყოთ

პრაქტიკული გამოცდილების შექმნა გვამებზე, რასაც მოჰყვებოდა, შემდეგ, საოპერაციო ოთახში გამოცდილი ქირურგების თვალისდევნება და ასისტირება.

დღევანდელ ციფრულ ეპოქაში კი, უახლესი ტექნოლოგიების ინტეგრაციით, ქირურგიული გარემო გარდაიქმნა და მოახდინა გარღვევა. თანამედროვე ქირურგიაში აქტიურად დაიწყო გაძლიერებული რეალობის (AR) და ვირტუალური რეალობის (VR) გამოყენება.

ქირურგიული ნავიგაციის ტექნოლოგიის ტრანსფორმაციული პოტენციალის შესახებ უაღრესად საინტერესო და ოპტიმისტურ მომავალზე საუბრობს, ბოლონიის სანტორსოლას ჰოსპიტალის, წამყვანი ქირურგი ჯოვანი



სურათი 2. გერმანული კომპანია Apo@lar ავითარებს Virtual Surgery Intelligence პროგრამულ ინსტრუმენტს, რომელიც იყენებს შერეულ რეალობას, ეხმარება ქირურგებს ოპერაციის მომზადებასა და განხორციელებაში.

ბადიალი: „ჩვენ, ქირურგიული ნავიგაციის კუთხით, სამედიცინო რევოლუციის ზღვარზე ვართ... მომავალში შეიძლება შეუფერხებლად ვიმუშაოთ. ოპერაციებისთვის ეს ნიშნავს დიდი დროის დაზოგვას და შემცირებულ გონებრივ მუშაობას ვირტუალურსა და რეალურ შორის კავშირის დასამყარებლად. ყველა ინფორმაცია მიიღება რეალურ დროში. დრო ამ ტექნოლოგიის ყველაზე დიდი ბენეფიტია“ [4].

რა არის VR და AR ქირურგია?

ვირტუალური რეალობა და გაძლიერებული რეალობა ქირურგიაში გულისხმობს ვიზუალიზაციის მოწინავე ტექნოლოგიების გამოყენებას ქირურგიული გარემოს სიმულაციისთვის. VR და AR ინსტრუმენტების მეშვეობით, 2D და 3D გამოსახულების გადაცემის ძალის გამოყენებით, ქირურგები იძენენ უნარს, გაიმეორონ ავთენტური ქირურგიული პროცედურები და შეისწავლონ ანატომიური სტრუქტურები. ეს არა მხოლოდ აძლიერებს მათ მზადყოფნას, არამედ ხელს უწყობს ეფექტურობის გაზრდას საოპერაციო ოთახში. VR და AR ტექნოლოგიებს შეუძლიათ, ფუნდამენტურად გააუმჯობესონ წინასაოპერაციო დაგეგმვა, გააძლიერონ ინტ-

რაოპერაციული ხელმძღვანელობა და მოახდინონ პოსტ-ოპერაციული შეფასებების ოპტიმიზაცია.

VR და AR ქირურგიული ინოვაციები

Vicarious Surgical (სურათი 3) – ეს არის რობოტული სისტემა, რომელიც იმართება VR გარნიტურის გამოყენებით; სისტემა ქირურგებისთვის უზრუნველყოფს თავისუფალი და ზუსტი მოძრაობების კომბინაციას მინიმალური ინვაზიური ოპერაციების დროს. ქირურგიული რობოტი ახდენს სხეულის ზედა ნაწილების მოძრაობების იმიტირებას, „თავის“ ფუნქციას კი ასრულებს აპარატი, 360°-იანი სტერეოსკოპული ვიზუალიზაციით. ეს მოწყობილობა უკავშირდება ვირტუალური რეალობის მოწყობილობას და აბსოლუტური სიზუსტით რეაგირებს მომხმარებლის ყველა მოძრაობაზე, ამასთანავე, უზრუნველყოფს ქირურგიული ველის „შიგნიდან“ ხედვას, თითქოს ქირურგი თავად არის ამ ველში [3].


Augmedics (სურათი 4) – AR ქირურგიული სამიზნე სისტემა Augmedics, ქირურგებს ანიჭებს „რენტგენის ხედვის“ შესაძლებლობებს, ხერხემლის სვეტზე ოპერაციების დროს. ამ ტექნოლოგიის მთავარი მიზანია ქირურგის ყურადღების გაფანტვის შემცირება და ტრადიციული



სურათი 3. რობოტული სისტემა, რომელიც მუშაობს VR გარნიტურის გამოყენებით. წყარო: Vicarious.



სურათი 4. ოპერაციის დროს Augmedics-ის Xvision გარნიტურა CT სკანებს და სხვა კვლევებით მიღებულ გამოსახულებებს აპროეცირებს პაციენტის სხეულზე. წყარო: Augmedics.



სურათი 5. EchoPixel ინტერაქტიული 4D ჰოლოგრაფიით უზრუნველყოფს ზუსტი ინფორმაციის მიწოდებას ქირურგისთვის, კათეტერების და იმპლანტირებადი მოწყობილობების შესახებ რეალურ დროში. წყარო: EchoPixel.



სურათი 6. FundamentalVR ქირურგიული მოდელირების პირველი სისტემა, რომელშიც VR კომბინირებულია ტაქტილურ ტექნოლოგიებთან. წყარო: FundamentalVR.

რენტგენის დასხივების გამოყენების მინიმალიზირება ხერხემლის ოპერაციის დროს.

Echopixel – ეს არის ინტერაქტიული ვირტუალური რეალობის ქირურგიის პლატფორმა, რომელიც ექიმებს საშუალებას აძლევს მოახდინონ კონკრეტული ანატომიური სტრუქტურების იდენტიფიცირება. უნდა აღინიშნოს, რომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიღწევა, არის მსხვილი ნაწლავის 3D გამოსახულების შექმნა EchoPixel-ის გამოყენებით, რომელიც ქირურგებს ეხმარება ოპერაციების გულდასმით დაგეგმვაში და რეალურ დროში ანალიტიკის უზრუნველყოფაში.

FundamentalVR – სთავაზობს ექიმებს ჰაპტიკურ სიმულატორებს, რომლებიც შექმნილია იმისთვის, რომ ქირურგებმა დახვეწონ და გააუმჯობესონ თავიანთი უნარები იმერსიული პრაქტიკის საშუალებით. ჰაპტიკური ტექნოლოგია აერთიანებს ვიბრაციის რეალისტურ ნიმუშებს, რაც ექიმებს საშუალებას აძლევს განიცადონ ნამდვილი ქირურგიული ხელსაწყოების მუშაობის შეგრძნება. ვირტუალურ რეალობასთან ინტეგრაციით FundamentalVR ეკოსისტემა ქირურგებს სთავაზობს პლატფორმას სხვადასხვა ქირურგიული პროცედურების შესასწავლად და რეალისტური პრაქტიკის სცენარებში ჩართვას.

Proximie – სთავაზობს ექიმებს გაძლიერებული რეალობის ინსტრუმენტების ყოვლისმომცველ კომპლექტს, რომელიც შექმნილია არსებული დაავადებების იდენტიფიცირებაში და ქირურგიული პროცედურების ასხნაში 3D მოდელების გამოყენებით. ამ ხელსაწყოების საშუალებით ექიმებს შეუძლიათ ჩაატარონ პაციენტის სხეულის სკანირება, დაადგინონ ჯანმრთელობის პრობლემები, როგორცაა სიმსივნე ან მოტეხილობა, და გამოიყენონ გენერირებული სურათები პოტენციური ქირურგიული პროცესის ეტაპობრივი მიმოხილვის საილუსტრაციოდ. ეს ინოვაციური მიდგომა არა მხოლოდ აძლიერებს ჯანდაცვის პროფესიონალების დიაგნოსტიკურ შესაძლებლობებს, არამედ პაციენტებს აძლევს მათი სამედიცინო მდგომარეობის ვიზუალურ გაგებას, ხელს უწყობს ინფორმირებულ დისკუსიებს მკურნალობის ვარიანტების შესახებ.

SentiAR – წარმოადგენს ჰოლოგრაფიული გაძლიერებული რეალობის პლატფორმას, რომელიც მორგებულია ინტრაპროცედურულ კლინიკურ აპლიკაციებზე. ქირურგიული პროცედურების დროს, ქირურ-

გები, რომლებიც იყენებენ ამ ტექნოლოგიას, შეუძლიათ რეალურ დროში დააკვირდნენ კონკრეტული ანატომიის სამგანზომილებიან სურათს, რომელიც მოძრაობს პაციენტის ზემოთ საოპერაციო მაგიდაზე. უხელსი ვიზუალიზაცია უზრუნველყოფს ქირურგებს პაციენტის ჯანმრთელობის შესახებ ყოვლისმომცველ ხედვას მთელი ოპერაციის განმავლობაში, აძლიერებს მათ უნარს მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილებები და უფრო ეფექტურად წარმართონ პროცედურა.

ZSpace – ავითარებს როგორც აპარატურულ, ასევე პროგრამულ გადაწყვეტილებებს, რომლებიც იყენებს VR და AR შესაძლებლობებს სხვადასხვა ინდუსტრიებში. ჯანდაცვის მეცნიერებათა სფეროში, მათი აპლიკაციები მომხმარებლებს აძლევს შესაძლებლობას ჩასწვდნენ ადამიანის ბიოლოგიის 3D მოდელებს, ნავიგაცია გაუკეთონ ქირურგიულ და აღჭურვილობის უსაფრთხოების პროტოკოლებს და გამოიკვლიონ 4600-ზე მეტი ანატომიური სტრუქტურის ფართო სპექტრი VR გარემოში.

VR-ისა და AR-ის გადაკვეთა ქირურგიულსანავიგაციო სისტემებთან გახსნა შესაძლებლობების სპექტრი, რაც მნიშვნელოვან დაპირებას იძლევა ქირურგიული სიზუსტის ოპტიმიზაციის, პროცედურული სირთულის შესამცირებლად და ჯანდაცვის საერთო ეფექტურობის გაზრდისთვის. იმერსიული ტექნოლოგიების უწყვეტმა გაერთიანებამ ქირურგიულ სამუშაო პროცესებთან ხელი შეუწყო უფრო ინტუიციურ და ინტერაქტიულ მიდგომას პრეოპერაციული დაგეგმვის, ინტრაოპერაციული ხელმძღვანელობისა და პოსტოპერაციული შეფასების მიმართ. შედეგად, ეს მიღწევები გასცდა ტრადიციულ საზღვრებს, რამაც ხელი შეუწყო გარემოს, რომელიც ხელსაყრელი გახდა ანატომიური სტრუქტურების და პროცედურული სირთულების შეუდარებელი ინფორმაციის მისაღებად.

მომავალი გვპირდება ჯანდაცვის ისეთ გარემოს, სადაც ვირტუალური და გაძლიერებული რეალობა არა მხოლოდ აუმჯობესებს ქირურგიულ სიზუსტეს, არამედ არსებითად უწყობს ხელს პაციენტის შედეგებისა და ჯანდაცვის მეთოდოლოგიების ჰოლისტიკურ გაუმჯობესებას, ეს ყოველივე კი არა მხოლოდ უახლესი გამოთვლითი შესაძლებლობების საოცარ კონვერგენციაზე მიუთითებს, არამედ აუწყებს ახალ ეპოქას სამედიცინო ჩარევის მეთოდოლოგიებში.

2019 წელს ჩატარებულმა კვლევამ, რომელიც ჩაატარა UCLA-ს დევიდ გეფენის მედიცინის სკოლამ, დაადგინა, რომ ქირურგიული შესრულება Osso VR-ის პლატფორმის გამოყენებით აუმჯობესებს ქირურგიულ მუშაობას 230%-ით [14].

ბაზრის კვლევის და სტრატეგიის საკონსულტაციო კომპანია Emergen Research-ის მონაცემების თანახმად, ჯანდაცვის სფეროში გაძლიერებული რეალობის და ვირტუალური რეალობის გლობალური ბაზარი, სავარაუდოდ, 2030 წლისთვის 14 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწევს და შემდეგ გააგრძელებს ზრდას წელიწადში 21,5%-ით [15].

დღეს ჯანდაცვის სექტორში ვირტუალური რეალობის პოტენციური შემოიფარგლება მხოლოდ იმ ადამიანების კრეატიულობით და გამომგონებლობით, ვინც ქმნის და თუ იყენებს ამ ტექნოლოგიას. ვირტუალური რეალობის ახალი ინსტრუმენტების ფართოდ გამოყენება კი მაქსიმალურად წარმოაჩენს პრობლემების დაძლევის გზებს, და საბოლოო ჯამში, დაგვეხმარება გავხდეთ უფრო მეტად „ადამიანურები“.

დასასრულს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ განვითარებადი აუდიოვიზუალური ტექნოლოგიების ვალიდაცია და ინტეგრაცია ქირურგიულ დომენში არის ახალი შესაძლებლობების შექმნის გზა. ქირურგიული პრაქტიკის ფარგლებში ტექნოლოგიური ინოვაციების ჩართვა, არა მხოლოდ პაციენტზე ზრუნვის გაუმჯობესებს ემსახურება, არამედ ფუნქციონირებს, როგორც კატალიზატორი, თანამედროვე ჯანდაცვაში არსებული საზღვრების გადასალახად. რამდენადაც ტექნოლოგია აგრძელებს წინსვლას, მისი სრული პოტენციური ქირურგიის ტრანსფორმირებაში ჯერ კიდევ არ არის რეალიზებული, რაც მას მომავლის მედიცინის საინტერესო სამიზნედ აქცევს.

ლიტერატურა:

ლიტერატურა:

References:

1. <https://www.appliedglobal.com/how-audiovisual-integration-benefits-the-healthcare-industry/>
2. Bondarenko, R. (2007). *Virtual reality in a modern social situation. Digital Science & Education LP.*
3. <https://www.dissercat.com/content/virtualnaya-realnost-v-sovremennoi-sotsialnoi-situatsii>
4. <https://builtin.com/healthcare-technology/augmented-virtual-reality-surgery>
5. <https://www.reydar.com/augmented-reality-surgery/>
6. <https://medicalgiving.stanford.edu/news/virtual-reality-system-helps-surgeons-reassures-patients.html> 10
7. <https://medicalgiving.stanford.edu/news/virtual-reality-system-helps-surgeons-reassures-patients.html>
8. <https://www.healthcareitnews.com/news/how-virtual-reality-turning-surgical-training-upside-down>
9. <https://www.sciencedirect.com/science/article/abs/pii/S0022480421004169>
10. <https://www.forbes.com/sites/forbestechcouncil/2023/10/12/advancements-in-ar-surgery-transforming-health-care-and-saving-lives/?sh=2f71a41a89fb>
11. <https://uhs.com/how-virtual-reality-is-transforming-surgery/>
12. <https://ventionteams.com/healthtech/virtual-reality/surgery-training>
13. <https://www.hackensackmeridianhealth.org/en/health/patient-perspectives/2021/04/the-future-of-surgery-virtual-reality>
14. <https://www.healthcareitnews.com/news/how-virtual-reality-turning-surgical-training-upside-down>
15. <https://www.iec.ch/blog/virtual-reality-helps-surgeons-learn>

THE TRANSFORMATIVE IMPACT OF AUDIOVISUAL TECHNOLOGY INTEGRATION ON HEALTHCARE

Tea Chanturia

Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University

Contact person: Tea Chanturia, teako.chanturia@gmail.com

DOI: <https://doi.org/10.48412/GTBGS.2024.12.51-57>

Resume

The paper explores the transformative impact of integrating audiovisual technologies into healthcare. It examines how this integration is changing patient care and revolutionizing medical practice. The convergence of audiovisual technologies is enriching medical diagnosis, treatment methods, patient engagement, education, and overall well-being. The integration of visual and auditory elements helps to improve the quality, accessibility, and efficiency of health services. The purpose of the article is to highlight the critical role of audiovisual innovation in the development of a more integrated, patient-centered paradigm of healthcare delivery. In addition, it examines the concept of the healthcare renaissance, which reflects the transformational change in the healthcare industry towards innovation and regeneration. Showcasing the potential of virtual reality as a gateway to the future of healthcare. The paper highlights innovative VR and AR technologies and their significant prospects in enhancing surgical precision and improving patient outcomes and healthcare methodologies. Ultimately, the article describes a healthcare landscape where virtual and augmented reality contributes to holistic improvements in patient care.

Keywords: audiovisual technology, surgical navigation, virtual reality, paradigm

HIDDEN TRUTH: INTERNAL MAMMARY ARTERY RUPTURE AFTER BLUNT CHEST TRAUMA

Nino Chaghiashvli

Pineo medical ecosystem

Contact person: Nino Chaghiashvli, nchaghiashvili1974@gmail.com

DOI: <https://doi.org/10.48412/GTBGS.2024.12.58-60>

Resiume Internal mammary artery rupture is a rare complication after blunt chest trauma. The early and exact diagnosis of internal mammary artery injury will enhance chance of survival. We present a case of patient with blunt chest trauma and isolated internal mammary artery rupture.

Key points: internal mammary artery, rupture, blunt chest trauma

CASE REPORT

